საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი, 25 ივლისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 164

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნესია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

დღიდან გარდაცვალებისა ორი წლის თავის შესრულების გამო, ქუთაისში, მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე კვირას 27 ივლისს ახალი სტილით გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებული მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი ექიმი

ანდრო მერაბის ძე კილასონიას

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მამა მერაბ გიორგის ძე კილასონია, ძმები ნიკოლოზი და ანტონი, და ელისაბედ ჩოგავაძისა, რძალი ზინა არჩილის ასული კილასონიასი და სიძე შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი 11 საათზე. (3—1)

უზომოდ დატანჯული მშობლები ერმალოზი და ნადია, და-ძმანი: გიორგი, ვლადიმერი, მიხეილი და კლავდია, ბიძა შვილები: ანდრია და ოლია კობალაძეები, მამიდაშვილი ანეტა ქარცივაძის ასული უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი

ალექსანდრე (სანდრო) კობალაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. სამებაში (გურია) კვირას 27 ივლისს, დღის 4 საათზე.

შვილები; სოფიო დიმიტრის ასული იგნატიევი და ელენე დიმიტრის ასული ჯავახიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ამ თვეს ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე გიორგის ასულის აგულაძის

სულის მოსახსენებლათ.

მიწის საკითხი ქალაქად

მიწათ-მოქმედების სამინისტრო დღეს სოფლის მიწის საკითხის უკანასკნელ აქტს ახორციელებს—მემამულეთაგან შარშან ჩამორთმეულ მიწას გლეხებს შორის ანაწილებს დაწესებულ ნორმის მიხედვით. ეს მეტის-მეტად რთული და ძნელი საქმე ვერ ჩატარდება ისე, რომ ქალაქის მიწებსაც არ შეეხოს: ქალაქი მთლად მოწყვეტილი არ არის სოფელთან, მას განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს სოფელთან, ქალაქის განაპირა ადგილები სოფლების საყანე ან საძოვარ ადგილს ისე ეკვრის, რომ ქალაქის და სოფლის მიწებ შორის ბუნებრივ ხაზის გავლებაც კი შეუძლებელია.

თუ ეს მართალია, იმისთანა დიდ და ტიპიურ ქალაქისათვის, როგორიც თფილისია, ეს მით უმეტეს მართალი უნდა იყოს იმისთანა პატარა ქალაქებისთვის, როგორიცაა ქუთაისი, ფოთი, გორი, ოზურგეთი და მეტადრე ახლათ გამოჩეკილი ქალაქებისთვის, როგორიცაა სურამი, ხონი, სამტრედია და სხვა. ეს უკანასკნელ კატეგორიის ქალაქები ნამდვილ ქალაქებათ ვერ ჩაითვლებიან. მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი მეურნეობით ისინი უფრო სოფლებია, ვიდრე ქალაქები; მცხოვრებთა საცხოვრებელ წყაროს ისევ მიწის დამუშავება შეადგენს, როგორც სოფელში. არაფერი არსებითი განსხვავება ამ „ქალაქებსა“ და სოფლებს შორის არ არსებობს.

ამისდა მიუხედავათ მიწის რეფორმა სოფლათ ამ „ქალაქებს“ სრულიად არ შეეხება, რადგან მიწის კანონი მხოლოდ სოფლის მიწას გულისხმობს და სრულებით არ ეხება ქალაქის მიწებს.

რა უკუღმართობა უნდა დაბადებულიყო აქედან?—ის რომ სოფლად მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები ნორმას ზევით, და იმისთანა „ქალაქებში“, როგორიც ხონი, სურამი, სამტრედია და სხვანია, იმავ მემამულეთა მიწებს ხელს ვერავინ ახლებს, თუნდაც მათ ამ ქალაქებში მთელი ლატიფუნდიები ჰქონდეთ. ახალი ქალაქები, ამ ნაირათ, ერთნაირ თავშესაფარათ გადიქცენ მემამულეთა მიწების კონფისკაციისაგან გადასარჩენათ; სოფლათ ძირიან-ფესვიანათ ამოთხვრა ის „ფეოდალიზმის ნაშთები“, რომელიც გლეხთა განთავისუფლებიდან სამკვიდროთ დაგვირჩინეს რუსეთის გვირგვინოსნებმა, ქალაქებში კი ამ „ნაშთებმა“ თავისი იურიდიული ციხე სიმაგრე ჰპოვეს.

ამ უკუღმართობას მეორეც მოჰყვა:—ამ ახალ ქალაქების მეტის-მეტი გაფართოვება. რაკი ეს ქალაქები მემამულის მიწას კონფისკაციისაგან იხსნიდა, ყოველი მემამულე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, რომ მისი მამული ქალაქის ფარგალში მოქცეულიყო. ამისათვის ისტატურ „ქველმოქმედებასაც“ კი არავინ დაიშურებდა: ქალაქს უძღვნიდა ერთ-ორ დღიურ მიწას იმ პირობით, რომ მისი მამული ქალაქის წრეში შესულიყო.

ეს გარემოებები ძლიან აფერხებენ მიწის მიმღებ კომისიის მუშაობას. და საყურადღებო ის არის, რომ სწორეთ ამ ახალ ქალაქებში დაიბადა პირველათ საკითხი მიწის რეფორმის გავრცელების შესახებ ქალაქის მიწებზედაც. სწორეთ ამ ქალაქების დემოკრატიამ მისცა პირველათ ეს აზრი მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომლის პორტფელებში დიდძალი ამ კატეგორიის მასალაა დაგროვილი.

ეს უკუღმართობა რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოისპოს. არ შეიძლება მიწის მიმღებმა კომისიებმა მიწის ფონდში შეიტანონ სოფლის მემამულეთა მიწები და იქვე მათ გვერდით იმნაირსავე სოფელში მცხოვრებ მემამულეთა მიწების ჩამორთმევაზე კი „ტაბუ“ დაადვად მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სოფელს რაღადაც „ქალაქი“ ეწოდება.

ამ სოფელ-ქალაქებიდან, ამ მესამე კატეგორიის ქალაქებიდან, რომ ცოტა ზემოთ ავიდეთ? ნამდვილ ქალაქისკენ გადვიხედოთ დავინახოთ, რომ აგრარული რეფორმა ამ ქალაქებსაც ცოტა მაინც სწვდება. ასეთი ქალაქები, როგორც გორი, ოზურგეთი და ზუგდიდია, ძალიან ნაკლებად განსხვავდებიან ზემო აღნიშნულ სოფელ-ქალაქებისაგან; თვით ქუთაისიც კი თავის განაპირა ადგილებში შეუმჩნევლად სოფლად იქცევა. და თუ სოფლად მიწის ნორმა დაწესებული უსამართლობა იქნებოდა, რომ ქალაქის წრეში შეტანილი მიწები, რომლებსაც იმნაირივე წესით ამუშავებენ, როგორათაც სოფელში, ნორმისაგან განთავისუფლებული იყოს.

ამნაირად მიწის რეფორმა სოფლად თავის განხორციელების დროს ლოღიკურად გვიყენებს რეფორმის საკითხს ქალაქად.

საქართველოს სენატი

1.

ერთი კვირის წინეთ დამფუძნებელი კრება შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომლითაც ჩვენში უნდა დაარსდეს სენატი. დღეს მუხლობრივი განხილვა მოხდება, ამიტომ მეტი არ იქნება გავაცნოთ მკითხველს, მოკლეთ მაინც, ამ დაწესებულების მნიშვნელობა.

ზოგიერთ ქვეყნებში სიტყვა „სენატი“ ნიშნავს სახალხო წარმომადგენლების ზედა პალატას (საფრანგეთი, ამერიკა), ზოგან კი—სასამართლოს უმაღლეს ორგანოს (რუსეთი). ჩვენი საზოგადოება საუკუნოს განმავლობაში სავსებით შეეჩვია ამ სიტყვას, როგორც სასამართლოს უზენაეს დაწესებულების სახელწოდებას, და კანონპროექტშიაც ამ აზრით არის ნახმარი.

როგორ უნდა შეხედოს დემოკრატია, ხალხის ფართო მასსა, ამ სასამართლო დაწესებულების შემოღებას?

უეჭველ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ხალხის დაბალი წრეები მაინც და მაინც სიმპატიით და ნდობით არ ეპყრობოდნენ სასამართლოს, სადაც, ისე, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაშიაც, უფრო ხშირათ იმარჯვებდა მდიდარი და ძლიერი. „მდიდარს ნუ წაედავები, ძლიერს ნუ გამოეკიდები სასამართლოშიო“,—ამბობს რუსული ანდაზა. ლევ ტოლსტოის ერთ-ერთ თხზულების („აღდგომა“) გმირი ნეხლუდოვი ეუბნება თავის სიძეს რაგოჟინსკის: „სასამართლო—ეს ის იარაღია, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო წესწყობილებას იცავსო“.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სასამართლო არის ისეთი სახელმწიფოებრივი დაწესებულება, რომელიც ქმნის სამართალს ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი. ხოლო კანონი ყველა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ქვეყნებში იცავს ფეოდალების და ბურჟუაზიის ინტერესებს. აქ კანონმდებლობა მათ ხელშია და რა გასაკვირია, თუ ისინი მხოლოდ ისეთ კანონებს იღებენ, რომლებიც ამ გაბატონებულ კლასების უპირატესობას და უფლებებს უზრუნველყოფს. და თუ კანონს კლასობრივი ხასიათი აქვს, რა თქმა უნდა, კლასობრივი იქნება ამ კანონის დარაჯიც—სასამართლო. სისხლის სამართლის სასჯელთა დებულებაში ახლაც არის ისეთი მუხლი, რომლის ძალით, თუ ნაყმევი შეურაცხყოფდა შებატონს, ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში აგზავნიდნენ რამდენიმე წლით, ხოლო თუ შებატონე მიაყენებდა შეურაცხყოფას თავის ნაყმევს, მხოლოდ მცირე ჯარიმას დაადებდნენ. მოხუცმა დედამ რომ მშიერი ბავშვისთვის ვინმე მდიდარს ათი შაურის პური მოჰპაროს, რამოდენიმე თვით საპყრობილეში სვამენ, მაგრამ, როცა კაპიტალისტები მილიონობით ჰპარავენ მუშებს მათ ნამუშევარს, ეს კანონიერია და მათ ვერავინ ვერ დასჯის.

თუ ამას მივუმატებთ იმასაც, რომ მოსამართლეებათ ინიშნებოდნენ ისეთები, ვინც გაბატონებულ კლასის წრეებს ეკუთვნოდა, ან ვინც თავის შთამომავლობით, სწავლა-აღზრდით და ტრადიციებით ხალხის მაღალ წოდებას თანაუგრძნობდა, ადვილათ მიხვდებით, თუ საითკენ გადაიხრებოდა სამართლის სასწორი. ასეთ პირობებში ადვილი გასაგებია, თუ რათ უყურებდა დემოკრატია აღმაცერათ სასამართლოს და რატომ იყო, რომ ყოველ რევოლიუციის დროს ჩვენში ან ბოიკოტს უცხადებდნენ სასამართლოს ან და ჯოხებით ერეკებოდნენ მოსამართლეებს შენობებიდან.

მიუხედავათ ყველა ამისა, ჩვენი ქვეყნის ახალ სახელმწიფოებრივ და სოციალურ პირობებში სასამართლო ყველაზე უფრო დემოკრატიისათვის არის საჭირო, და ამიტომ ხალხის მასსა არა თუ თანაგრძნობით უნდა მოეკიდოს სასამართლოს, არამედ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ მისი პრესტიჟი და ავტორიტეტი მიუწდომელ სიმაღლეზე აიყვანოს.

ს. ჯაფარიძე.

პრესა

ამ დღეებში გაზ. „ბორბა“-მ დაბეჭდა ერთი წერილი გენ. დენიკინისადმი, რომელსაც ხელს აწერს „უგანათლებულესი თავადი თომა ნიკოლოზის ძე დადიანი-მინგრელსკი“. წერილის ავტორი გახარებული ეგებება დენიკინის საქართველოში შემოსვლას და ფიანდაზებს უფენს მას გზაზე. ცხადია, რომ ამ წერილის გამოქვეყნებას ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა უნდა ღრმათ აღეშფოთებინა. თავისი აღშფოთება „ბორბა“-მაც გამოხატა. მაგრამ, როდესაც დღეს ირკვევა, რომ თომა დადიანს თურმე ირქმევს ვიღაც ჭკუაზე შეშლილი კაცი, რომელიც ნამდვილათ „გლეხ ქურდავა“ ყოფილა, ამ შეცდომის გამო „საქართველო“ და „გრუზია“ პროკურორის როლში შედიან და „ბორბას“ უპასუხისმგებლობას უკიჟინებენ. ბრალდება სხვათა შორის [illegible] მდგომარეობს:

„ჩვენ სახელმწიფოში ოფიციოზის ხელმძღვანელთ ნუბა არა ექვთ არ იცოდენ, რომ უგანათლებულეს თავადს ნიკოლოზ დავითის ძეს დადიანს ჰყავს, და იქნება ეხლაც ჰყავს, მხოლოდ ერთი შვილი ნიკოლოზი, რომელიც დღეს პეტერბურგში ცხოვრობს, „უგანათლებულესი“ თომა კი შვილია ერთი გლეხისა, ჭკუაზე შეშლილი ადამიანია და წარმოდგენილი აქვს, რომ იგი უგანათლებულეს თავადის დადიანის ჩამომავალია“.

ამნაირსავე „მოკრძალებით“ ლაპარაკს მოითხოვს ამ საგანზე. „ბორბა“-ს რედაქციისაგან გაზეთი „საქართველოც“. ორივე გაზეთში მოკალათებული ზუბრების იდეოლოგებს ჰგონიათ, რომ ყველაზე საჭირო და სავალდებულო ცოდნა ყოველ ქართველისათვის საქართველოს უგანათლებულეს თავადების გენეალოგიის ცოდნაა, და უდიდესი დანაშაულია ამ გენეალოგიის არ ცოდნა. ნამდვილი ქართველი ის არის, ვინც ამ უბრწყინვალესთა გვამთა მამის, პაპის, პაპის პაპის, შვილების, შვილიშვილების და ყველა ნათესავების სახელი იცის ზეპირად. და თუ რომელიმე არა-ქართველ მწერალს სურს საქართველოში შემოვიდეს და ჩვენს რესპუბლიკას ემსახუროს, ჯერ ეს გენეალოგია უნდა შეისწავლოს!

ბაქოს მუშათა შორის

ვინც ბაქოს სოციალისტურ გაზეთებს თვალყურს ადევნებს, მას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ბაქოს მუშათა ახლანდელ მდგომარეობას.

მუშათა კონფერენციაში ბალშევიკების გაბატონებამ ბაქოს მუშებს რამდენიმე დამარცხება ზედი-ზედ არგუნა. ახლა ბალშევიკებს მიზნათ დაუსახავთ ყველა მუშათა ორგანიზაციებში გაბატონება—პროფესიონალურ კავშირებში, მუშათა კლუბებში და სხვა. ამ ნიადაგზე სწარმოებს იქ ბრძოლა ამ ჟამად.

რას მოუტანს მუშათა კლასს კომუნისტების გამარჯვება?

„ისკრას“ აზრით—„ბალშევიკებმა თავიანთი დეზორგანიზატორული მოქმედებით და მოუხეშავი მუშათა პოლიტიკის წყალობით ორჯერ არგუნეს ბაქოს პროლეტარიატს დამარცხება, მათ შეასუსტეს პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებმაც ის ის იყო, გამაგრება იწყეს ოსმალთა შემოსევა-დარბევის შემდეგ. ახლა, როდესაც ბალშევიკებმა ხასცეს ლახვარი ბაქოს პროლეტარიატის პროფესიონალურ გაერთიანების საქმეს, შეაფერხეს მისი საორგანიზაციო მუშაობა, დღეს თავიანთი მაღალი ყურადღების ღირსი გახადეს თვით პროფესიონალური მოძრაობა. მუშათა კონფერენციის საშუალებით მათ სურთ ჩაშალონ მოწესრიგებული მუშაობა პროფესიონალურ კავშირთა. რა შეუძლიათ მისცენ კომუნისტებმა მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, იმ კომუნისტებმა, რომელთაც არ ეხერხებათ კავშირებში ყოველდღიური ხასიათის წვრილმანი საქმეების კეთება? არაფერი, გარდა სიტყვების რახა-რუხისა, გათიშვისა მუშათა შორის და მათი ორგანიზაციების დანგრევისა. ბაქოს პროფესიონალურ ორგანიზაციებს მუშათა კონფერენციის ბედი მოელით, უკეთუ მუშები კომუნისტების კლანჭებიდან თავს არ დააღწევენ“.

20 ივლისს ბაქოში შესდგა რაიონულ მუშათა კონფერენციების სხდომები. ჩვენ ხელთ გვაქვს შვიდი რაიონული კონფერენციის ანგარიშები. კონფერენციებზე გამოდიოდნენ მომხსენებლებათ უმთავრესად კომუნისტები. მოხსენების თემა იყო მუშათა პროფესიონალური კავშირები. ილაპარაკეს მომხსენებლებმა ისე, როგორც საზოგადოთ სჩვევიათ კომუნისტებს: მუშათა კავშირებში მოკალათებულნი არიან მენშევიკები, ესერები, სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციონერები. ესენი უნდა გაირეკონ კავშირებიდან და საქმე ჩაბარდეს კომუნისტებს და სხვ. ეს იყო მოხსენების მთავარი „თეზისები“.

ამათ [illegible] ზოგიერთი დამსწრე-

ᲓᲦᲔᲡ

ბერლინში შეიარაღებული შეტაკება მოხდა მთავრობის ჯარსა და დემონსტრატებს შორის. მინისტრმა ნოსკემ ნება არ დართო დამოუკიდებლებს მიტინგი მოეწყოთ.

ბალშევიკების ცნობით ბალკანეთის, ოსმალეთისა და სომხეთის საკითხის გამო ამერიკის დელეგატებსა და მოკავშირეებს შორის უთანხმოება იზრდება.

ფინეთში ნავთსადგურის მუშათა გაფიცვაა. ავსტრიის დელეგაციას უკვე გაეცა საზავო ხელშეკრულება.

საზავო ხელშეკრულობის წყალობით გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა უარესდება. საერთაშორისო ბანკების აზრით გერმანია გაკოტრებულათ ითვლება.

ნი კომუნისტ-მომხსენებლებს—„საგანთან ახლოს“, „შორს ნუ შესტოპავთო“, მაგრამ მათზე ამან არ გასჭრა.

რაიონულ კონფერენციებს ხალხი ცოტა დაესწრო. ზოგიერთ რაიონებში სრულიათ არ შესდგა სხდომები, კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო. სადაც დაესწრენ, ბევრ ალაგას, უკამათოდ იქნა მიღებული კომუნისტების რეზოლიუცია. მაგ. თეთრი ქალაქის რაიონულ კონფერენციის 20 წევრიდან დაესწრო 10 კაცი, ყველანი მუსულმანები, რომელთაც რუსულის არაფერი გაეგებათ და ხმა მისცეს ერთი მუსულმანის კომუნისტის ჩვენებით.

მენშევიკ-ესერების ბანაკიდან ერთ-ერთ რაიონში კომუნისტებმა ასეთი პასუხი მიიღეს: „კონფერენცია იმიტომ კი არ არის მოწვეული, რომ ესა თუ ის პირი, ან პოლიტიკური ჯგუფი გაასამართლოს. მას გადასაწყვეტი აქვს დღიური საარსებო საკითხები. კომუნისტები იმიტომ კი არ მიისწრაფვიან მუშათა კავშირებში, რომ იქ სხედან „მემარცხენე ან მემარჯვენე ესერები“ და „სოგლაშატელები“, არამედ—მათ უნდათ ახალი ტრიბუნა მოიპოვონ, ვინაიდან მუშათა კონფერენციამ, რომლის ხელში ჩაგდება მათ მოახერხეს, ახლა კომუნისტების დამანგრეველი მუშაობის წყალობით, დაჰკარგა თავისი მნიშვველობა. მუშათა მასსა მას არ უსმენს და რომ ეს აგრეა, სჩანს შემდეგიდან: ცენტრალური მუშაოა კონფერენციის სხდომას საბუნჩიდან დაესწრო 7—8 წარმომადგენელი. კომუნისტების აზრით, მუშები იმიტომ უვლიან გვერდს კავშირებს, რომ იქ სხედან „სოგლაშატელები“, ამიტომ მიდიან მუშები ბურჟუაზიულ დაწესებულებებშიო და სხ. აქ ორატორი შეეკითხა კომუნისტებს: რატომ მუშები გვერდს უვლიან მუშათა კონფერენციას,—იქ ხომ „სოგლაშატელები“ არ არიან, არამედ—იქ სხედან შეშმარიტი კომუნისტები“

პასუხად მიიღეს კომუნისტებისაგან: „კონტრრევოლიუციონერის“, „მოღალატის“ „სოგლაშატელის“ და სხვა ამგვარი ეპიტეტები, რომელთა სიუხვე კომუნისტების ლექსიკონში ყველასათვის ცნობილია.

უკანასკნელი ცნობები

ჯარისკაცთა უნივერსიტეტი ოზურგეთში.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ივლის. 22. ერობის და ქალაქის ხმოსანთა და დიდძალი საზოგადოების თანადასწრებით გაიხსნა ჯარისკაცთა უნივერსიტეტი. საზეიმო დღესასწაული გახსნა გენერალ მაიორმა ართმელაძემ. მიესალმენ ჯარის, ერობის, სამხედრო უწყების და სახალხო მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენლები. ამის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო პარადი.

ფირუზას დაპყრობა სპარსელების მიერ

სპარსეთის ჯარებმა ფირუზა დაიპყრეს (ასხაბადის მახლობლათ არის). ამის გამო ბალშევიკებმა სპარსეთის საზღვრები გადალახეს. ხმებია, რომ სპარსეთს განზრახვა აქვს ფირუზას ანექსია მოახდინოსო.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 ივლისი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ვაშინგტონში გერმანიის ელჩად ნამყოფმა ბარონმა ფონ ბერნსტორფმა წარსულ კვირას ბერლინში სიტყვა წარმოსთქვა საგარეო პოლიტიკის მიზნების შესახებ და დიდი ყურადღება მიაქცია ხალხთა ლიგის მნიშვნელობას. როდესაც საზავო ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ, დიდი უკმაყოფილება იყო ამ ხელშეკრულებით, მაგრამ მუიხედავათ ამისა, კეთილსინდისიერება გერმანიისაგან მოითხოვს მიღებულ ვალდებულებათა შესრულებას. მოკავშირენი დაგვპირდნენ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვას და რასაკვირველია, მტკიცედ უნდა მოვითხოვოთ ეს. გერმანია რევანშზე კი არ უნდა ოცნებობდეს, არამედ სამართლიანობას უნდა მოითხოვდეს, რომ ამნაირად ხალხთა ლიგის წევრად მიიღონ და ხელშეკრულება გადაასინჯინოს. ბევრის ფიქრით, „ხალხთა ლიგის“ იდეა უშედეგო გამოდგა, სხვების ფიქრით, ლიგა გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ „წმინდა კავშირად“ გადაიქცა. ლიგა უნდა შეიკრას, მასში არ შედიან გერმანია, ავსტრია და რუსეთი. არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს ხალხთა ლიგასა და ეროვნული იდეალების და კერძოდ, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შორის. ამ პრინციპის ძალით გერმანიას შეუძლია ავსტრიასთან გაერთიანება. ხალხთა ლიგაში შესვლით გერმანიას საშუალება მიეცემა მოითხოვოს, რომ ზემო სილეზიაში უფრო კანონიერად მოხდეს პლებისციტი და შემცირდეს რეინის მარცხენა მხარის ოკუპაციის ვადა. ასეთი უნდა იყოს გერმანიის საგარეო საქმეთა მთავარი მისწრაფებანი. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესახებ ბერნსტორფმა სთქვა, რომ ნეიტრალური ქვეყნები მზათ არიან გერმანიას დაეხმარნენ ეკონომიურ ურთიერთობაში. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთს, ლიტვას, ჩეხო-სლავიას, განსაკუთრებით რუსეთს, რომელთანაც გერმანია სიამოვნებით განაახლებს ურთიერთობას და უნგრეთს. სხვა სახელმწიფოები არ უნდა ერეოდენ გერმანიის შინაურ საქმეებში. შორეულ აღმოსავლეთში სასურველია ჩინეთისა და იაპონიასთან ურთიერთობის განახლება. ბერნსტორფმა დასძინა, რომ სახეში არ უნდა იქნეს მიღებული იაპონიასა და ამერიკის შორის ომის შესაძლებლობა.

პოლონეთის ფრონტზე მდ. დვინაზე ლიტვის ჯარი წითელ ჯარს ებრძვის. ბალშევიკები თავგანწირვით იბრძვიან ჯავშნიან მატარებლებისა და ავტომობილების დახმარებით.

ორშაბათს დღისით ბერლინში „ცაცხვების ქვეშ“, სასახლის ახლო, შეიარაღებული შეტაკება მოხდა მთავრობის ჯარისა და გაფიცულ დემონსტრანტებს შორის, რომლებმაც დაშლა არ მოისურვეს, მნახველთა სიტყვით, პირველათ სროლა გაფიცულებმა ასტეხეს. მინისტრმა ნოსკემ ნება არ მისცა დამოუკიდებლებს მიტინგი მოეწყოთ.

კვირას სენ-ჟერმენში ავსტრიის დელეგაციას გადასცეს საზავო ხელშეკრულება. ტიროლი ბრენტამდე იტალიის ხელში გადადის. კორინთიის ბედი ბლებისციტით გადაწყდება. კორინთია გაყოფილ იქნება 2 ნაწილად და თითეულში ცალკე მოხდება ხმის მიცემა. კომისიები დიდ სახელმწიფოთა და სამხრეთ სლავიის წარმომადგენელთაგან შესდგება. ხმის მიცემა მოხდება ჯერ სამხრეთის ნაწილში და თუ შედეგები ავსტრიისთვის სასარგებლო იქნება, მაშინ სამხრეთის ნაწილთან ერთად ჩრდილოეთის ნაწილიც ავსტრიას შეუერთდება, ხოლო თუ შედეგი სამხრეთ სლავიის სასარგებლო გამოდგა, მაშინ 3 კვირის შემდეგ ჩრდილოეთის ნაწილშიაც მოხდება არჩევნები. შტირიაში, მიუხედავად ავსტრიის დელეგაციის პროტესტისა, ივნისის 2 შემუშავებული საზღვარი ძალაში დარჩა. დასავლეთ უნგრეთის დიდი ნაწილი ქ. ვედენბურგით ავსტრიის ხელში გადადის. ჩეხო-სლავიის საზღვარი ოდნავადაა შეცვლილი, ე. ი. საზღვარი, რომელიც წინად მდინარის ნაპირით იყო გავლებული, ეხლა მდინარის შუაგულამდე გადაიტანეს, რითაც ავსტრიას ნავოსნობის მოწყობა უადვილდება. საზავო ხელშეკრულებას თან ქონდა დართული მემორანდუმი, რომელშიაც მოხსენებულია მოხდენილი ცვლილებანი და აგრედვე უნგრეთში საქონლის გაზიდვისა და იქიდან შემოზიდვის აღკრძალვა, ვიდრე მოკავშირეთა და უნგრეთის შორის ხელშეკრულება არ დაიდება.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 23 ივლისი. **ნაუენი**. 23 ივლ. ბერლინში სასახლის წინ შეტაკება მოხდა. ბალშევიკების და დამოუკიდებელთა სხვა დემონსტრაციები ჯარმა დაშალა. მეუმრავლესე სოციალისტების მიტინგზე არეულობა მოხდა. კრების გახსნამდე კომუნისტებმა და დამოუკიდებლებმა კრების დარბაზის ნაწილი დაიპყრეს. როგორც კი მეუმრავლესებმა დაიწყეს ლაპარაკი, შეიქნა ხმაურობა. უმეტეს შემთხვევაში სიტყვა არავის არ დაასრულებინეს. ერთ შენობაში სროლა იყო, „ფორვერსტი“ სწერს, რომ დამოუკიდებლები გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ იბრძვიან. **კიევი**. ივლ. 23. ცენტრალურ სახელმწიფოებთან დროებითი ზაის შეკვრის შემდეგ იტალიის საერთო შრომის კონფედერაციის წევრების რიცხვი, რომელიც წინათ 300,000 აღწევდა, ერთ მილიონამდე გაიზარდა. გაზ. „ნავასტი“-სტირაეი 79 ათასი ეკზემპლიარიდან 300,000 მდე

ავიდა. ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ. ივლ. 16. თეთრმა „საოლქო“ საბჭომ ლატვიის მთავრობის შედგენა ისევ ულმანს მიანდო. ლატვიის შემთანხმებელ სოციალისტურ მუშათა პარტიას, რომელიც ულმანის მთავრობის წინააღმდეგი იყო, ისე, როგორც გერმანიის პროგრესიული პარტია, მთავრობის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღიათ. **ᲚᲘᲝᲜᲘ**. ივლ. 23. ამერიკის დელეგატებსა და მოკავშირეებს შორის ბალკანეთის პოლიტიკის, ოსმალეთის და სომხეთის საკითხის გამო უთანხმოება იზრდება. ბულგარეთის ხელშეკრულება და შანდუნის საკითხი აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ამერიკელები იმ აზრის არიან, რომ ფრაკია ბულგარეთს არ უნდა ჩამოერთვას. საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია დაჟინებით მოითხოვენ, რომ ფრაკია საბერძნეთს გადაეცეს. (გამოტოვებულია). ამ გვარად, ამერიკისა და მოკავშირეთა შორის უკვე უთანხმოებაა და ამერიკა მოითხოვს, რომ საკითხი დაუყონებლივ იქნას გადაწყვეტილი. **ნაუენი**, 22 ივლისი. უნგრეთში ქ. ედინბურგში ციხეში ჩასვეს 57 აფიცერი კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისთვის. **ლიონი**, 22 ივლისი. საერთაშორისო ბანკების აზრის თანახმად, გერმანია ამ ჟამად გაკოტრებულია. **ნაუენი**, 22 ივლისი. გერმანიის გზათა მინისტრმა განაცხადა, რომ საზავო ხელშეკრულების წყალობით, გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა უარესდება. სახელმწიფოში დიდი წუხილია მომავალ ზამთრის მოლოდინში, განსაკუთრებით კი ნახშირის კრიზისის გამო. ამერიკელების აზრი საბერძნეთში უკმაყოფილებას იწვევს, იმ გვარად, როგორც ეს ფიუმეს საკითხის დროს იტალიელებში იყო. იაპონია შეშფოთებულია შეერთებულ შტატებში ანტი-იაპონური გამეფებულ სულიერ განწყობილებით. ვილსონმა ეს შიში გააძლიერა იმით, რომ ამერიკის დელეგაციას დეპეშა გაუგზავნა, რომ გამოქვეყნებული იქნება ჩინეთისთვის შანდუმის დაბრუნების შესახებ იაპონიის მიერ მიღებულ ვალდებულებებზე წარმოებულ ზეპირ მოლაპარაკების ნაწერი ოქმები. მოკავშირეთა წრეებში იხილავენ საკითხს, რომ იაპონიის წარმომადგენლებზე ძალით მოახდენენ გავლენას, თუ იაპონიის დელეგატები წინააღმდეგობას გასწევენ და შეთანხმებაზე უარს განაცხადებენ. **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ**. ივლისის 21. ნორვეგიაში 24 საათის გაფიცვებს მოელიან. ნორვეგიის ჯარისკაცებში სოციალისტური მოძრაობა იზრდება. **ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲘ**. ივლ. 22. ბრიტანიის სოციალისტური პარტია დიდ გამოსვლების მოწყობას აპირებს. ინგლისის მუშათა პარტია უფრო ზომიერ პოლიტიკას წარმოებს. **ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲤᲝᲠᲡᲘ**. ივ. 20. ფინეთში ნავთსადგურების მუშების გაფიცვები გრძელდება. **ᲑᲣᲓᲐᲪᲔᲨᲢᲘ**. ივლ. 22. სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით, ფინეთის ნავთსადგურების მუშების გაფიცვა მტკიცედ ტარდება, გაფიცულთა შორის საუცხოვო თანხმობაა. ტყვე წითელ ჯარისკაცებმა, რომლებიც მთავრობას სურდა შტრეიკბეხერებათ გამოეყენებია, მიუხედავათ სიკვდილის მუქარისა, მუშაობაზე უარი განაცხადეს. ფინეთში თეთრი ტერორი ისევ მძვინვარებს. **ᲕᲐᲨᲜᲘᲐᲠᲙᲐ** ივლ. 22. ბესარაბიაში დაარსდა ლიგა ბალშევიზმთან საბრძოლველად. ყველა დაწესებულებები სავსეა ამ ლიგის წარმომადგენლებით, რომელიც მცხოვრებლებს შიშს გვრის. რუმინელთა აგენტები დადიან ბესარაბიაში და ბალშევიკების წინააღმდეგ ქადაგობენ. ყველგან ხვრეტაა. **ᲑᲔᲚᲓᲔᲠᲨᲘ** ერთ დღეში 120 კაცი დახვრიტეს, აკერმანში—30, კიშენევში (?) **ᲛᲘᲜᲡᲙᲘ**. ივლ. 22 ვარშავაში გაფიცვამ ფართე ხასიათი მიიღო. ყველა სამრეწველოები დაკეტილია. ბურჟუაზიული „ვარშავსკი კურიერ“-ი პოლონეთის მთავრობას აფრთხილებს, რომ ის ვერ ასცდება... (გამოტოვებულია) და მას ბალშევიზმი შესცვლის. **ᲚᲘᲝᲜᲘ**. 21 ივლ. საფრანგეთის მთავრობის წრეებშიც კი ეშვობენ, რომ ავსტრიის მიმართ მოკავშირეებმა მიზანშეწონილი ზომები არ მიიღეს. ავსტრიის ხელშეკრულებას ყოველი მხრით კრიტიკას უკეთებენ. **ნაუენი**. 22 ივლ. ბელგიის მუშებში მოძრაობა დაიწყო იმის გამო, რომ განადგურებულ ბელგიის აღდგენის საქმეში გერმანელი მუშები იღებენ მონაწილეობას. **ᲝᲓᲔᲡᲐ**. 18 ივლ. რუმინულმა გაზეთმა „მინიტორ“-მა ოფიციალურად გამოაქვეყნა რუსის ჯარის ყველა იმ ყოფილ აფიცერთა სახელი და გვარი პორუჩიკიდან მაიორამდე, რომლებიც რუმინიის ჯარში იყვნენ მიღებულნი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

← დამფუძნებელ კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ დამატებითი არჩევნები დამფუძნებელ კრებისა ბორჩალოს მაზრისა, მესხეთ-ჯავახეთისა, თუშ-ფშავ-ხევსურეთისა, ზემო-სვანეთისა და დუშეთის მაზრის მთიან ნაწილში დანიშნულია აგვისტოს 10-ს, 11-ს და 12-ს დილის 8 ს. საღამოს 8 ს.-მდე სოფლათ და 9-ს 9 საათამდე ქალაქათ. საკანდიდატო სიები იგივე იქნება რაც პირველ არჩევნების დროს. დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა „საქართველოს რესპუბლიკაში“ საკანდიდატო სიები გამოქვეყნებულათ ჩაითვლება და მათ წარმომადგენელ პარტიებსა და ჯგუფთ უფლება ეძლევათ თითო წარმომადგენელი გამოგზავნოს ცენტრალურსა და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში.

← სომხეთისთვის დიქტატორის დანიშვნა გაზ. „აშხატავორის“ ცნობით, პარიზის საზავო კონფერენციას დაუნიშნავს სომხეთის დიქტატორათ ამერიკის სამსახურში მყოფი ვილიამ ხასკილი. დიქტატორს დავალებული აქვს შეუდგეს ჯერ ეკონომიურათ სომხეთის გაძლიერებას და მხოლოდ შემდეგ პოლიტიკურ საკითხების მოგვარებასაც.

← საქალაქთაშორისო ტელეფონით ურთიერთობა დაწესდა ხაშურთან, გორთან, ყაზბეგთან, კობთან, მლეთასთან, ფასანაურთან, დუშეთთან და მცხეთასთან. ლაპარაკისათვის დაარსებულია ნიხრი—პირველ სამს წამში 6 მანეთი, ხოლო შემდეგ თითო წამში 2 მან.

← შტატების შემცირება. პირველ აგვისტოდან ტრამვაიში მოსამსახურეთა შტატი შემცირებული იქნება. პირველ ხანებში 50 კაცს დაითხოვენ სამსახურიდან.

← რუსული კლუბის მამასახლისთა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ნება დართოს მათ გახსნან ამას წინად დახურული რუსული კლუბი.

← დატუსაღება. მილიციის უფროსის განკარგულებით ორი კვირით დაატუსაღეს სიმონი გუგუშვილი და სამი თვით—ვასილი კობიევი, ნიკოლოზი რომანოვიჩი და გიორგი კერესელიძე, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირები.

← პასპორტების მისაღებად შინაგან საქმეთა სამინისტრო აცნობებს მილიციას, რომ საზღვარ-გარეთ წასასვლელათ საჭირო პასპორტებს იძლევა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

← იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ბ-ნი ქიქოძე.

← სარაჯიშვილის მკვლელები უკვე ჩამოიყვანეს თფილისში, რომელთაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

← ყაჩაღ მარჩაძის დაჭრა. საადმინისტრაციო ინსპექტორის თანაშემწე მამფორია ქუთაისის გუბერნიიდან ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მის მიერ მიღებული ცნობების თანახმაღ დაუჭრიათ ცნობილი კაჩაღი მარჩაძე.

← შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილება იწვევს ექიმებს და ექიმთა თანაშემწეთ პროვინციაში სამუშაოთ შემდეგი ჯამაგირით: ექიმს 2000 მანეთი და ექიმის თანაშემწეს 1333 მ. თვიურად.

← მეშვიდე რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი სთხოვს ყველა პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც შედიან მეშვიდე რაიონში, გამოცხადდენ კოლექტივის ბიუროში და მიიღონ საწევრო ბარათები. კოლექტივი ღიაა დილის 9—1 ს. და 5—7-მდე.

← მუშათა კლუბში დღეს ივ. გომართელი წაიკითხავს ქართულად ლექციას—„მოხალისეები და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები“. ლექციის შემდეგ კამათი. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

← სახალხო გუნდის მოგზაურობა. აგვისტოს პირველ რიცხვებიდან მიხეილ კავსაძის გუნდი გაემგზავრება პროვინციებში. გაიმართება სახალხო მუსიკის შესახებ ლექციები და სახალხო სიმღერები. მთავრობამ გუნდს დაუთმო საკუთარი ვაგონი შეღავათიანის ფასით.

← შეცდომის გასწორება. გუშინდელ ჩვენს გაზეთში, მიხეილ (მიშა) ნიკოლოზის ძე მარჯანიშვილის სამგ. განცხ. სწერია: ცხედარს გამოასვენებენ 25 ივლისს. უნდა იყოს: 24 ივლისს.

← დამფუძნებელ კრების ანგარიშში სწერია: „მიწათ მოქმედების სამინისტროსთან დაარსდეს ცენტრალური სასურსათო კომიტეტი, უნდა იყოს: **სასტატისტიკო** კომიტეტი და სხვა.

← კანტორა „განათლებისთვის“ საჭიროა აგენტები: ზუგდიდში, სენაკში, გორში, სამტრედიაში, ჭიათურაში და ხაშურში. მსურ-

ველთ გაეგზავნება თფილისის ყველა პერიოდული გამოცემანი და ავრეთვე ყველა ახალ გამოსული წიგნები.

კრებები

— შაბათს, 26 ივლისს, საღამოს 7 საათზე სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე (ალექსეევის ქ. № 7) შესდგება გაფართოებული კრება კავშირის გამგეობისა, სექციების წარმომადგენლებისა და მოწინავე ამხანაგებისა. განსახილველია მუშებისთვის იაფ ფასიან სანოვაგის მიწოდების მოწყობის საკითხი, თანახმად სატარიფო პალატის და ქალაქის თვითმართველობის პროექტისა.

პროვინციის ქრონიკა

ს. კავთისხევი (გორის მაზრა) კავთიხევის საზოგადოებაში 20 ივლისს მოხდა არჩევნები საქართველოს სომხების ეროვნულ საბჭოში (არჩევნების გადადების შესახებ გვიან გავიგეთ) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (სომხურმა სექციამ) მიიღო 432 ხმა (№ 3), სომხის სახალხო პარტიამ—5 (№ 2).

ლიხაურის (გურია) უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლის ფონდის გასაძლიერებლად ვარლამ სვიმონის ძე თაყაიშვილმა შესწირა თერთმეტი ათასი (11000 მან.

ძირულაში კვირას, 27 ივლისს ადგილობრივ ს. დ. მ. კოლექტივის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი სეირნობა—წარმოდგენა დაიდგმის: 1) „ბატონი ღა ყმა“ 2) „ტიმოთეს ლეღვი“, იმღერებს გუნდი სანდრო კავსაძის ლოტბარობით, დაუკრავს მუსიკა. სეირნობა დაიწყება საღამოს 6 ს., წარმოდგენა 8 ნახ. ს. ადგილების ფასი 15—3 მ. წმინდა შემოსავალი გადაიღება ნახევარი ს. დ. ორგანიზაციის სასარგებლოთ და ნახევარი ფრონტისთვის.

დამფუძნებელი კრება

23 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ექვთ. თაყაიშვილი.**

სვ. მდივანის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქუთაისის და თფილისის საადგილ-მამულო ბანკების წესდების შეცვლის შესახებ. დეკრეტის ძალით ბანკების გამგეობას უფლება ეძლევა გაადიდოს შემოსავალი სხვა და სხვა გადასახადებით იმდენათ, რომ დაფაროს ბანკის გასავალი.

ე. კალაძეს მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სოხუმ-ახალსენაკისა და გუდაუთ-პილენკოვოს გზა-ტკეცილების, ხიდების 1919 წელს ასაგებათ და შესაკეთებლათ დამატებით 857,996 მან. გადადებისა.

ი. ირემაშვილი მოახსენებს კრებას, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ გადასწყვიტა ჭიათურის საფუთო გადასახადი გადიდებულ იქნეს 3 კაპ. 20 კაპეიკამდე.

ივ. ჭავჭანიძე. სოც. დემოკრატიული ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ პრინციპიალურად არაფერი არა აქვს საფუთო გადასახადის გადიდებისა, მაგრამ წმიდა სახელმწიფოებრივი და ეკონომიური მოსაზრებით მოითხოვს ფუთზე 8 კაპეიკის დაწესებას.

სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებით დეკრეტი მიღებულ იქნა.

ი. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსათვის ნახევარი მილიონი მანეთის სესხად მიცემისა.

ლ. ნათაძის მოხსენებით დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის შტატები. დეკრეტის ძალით პროფესორებს პირველი იანვრიდან 1919 მიეცემათ თვიურათ 1800 მანეთი ნაცვლად 900 მანეთისა. 1 მაისიდან კი 2200 მანეთი.

ივ. ჭავჭანიძე მოახსენებს კრებას დეკრეტს 150,000 მანეთის შესახებ, რომელიც გადადებულ უნდა იქნას ინგლისის მისიის დასაკმაყოფილებლათ ნატანებ-ბათუმის რკინის გზის უბნის საექსპლოატაციოთ გადმოცემისათვის. დეკრეტი მიღებულ იქნა.

ი. ირემაშვილი მოახსენებს კრებას დეკრეტს შინა გადასახლების საქმის მოსაწყობათ 5 მილიონი მანეთის გადადებისა, ზოგიერთ ჩვენს მაზრებში მიწის ნაკლებობაა, მთავრობას სურს მოაწყოს შინა გადასახლება მცხოვრებლებისა, ამ ჟამად მსუოველია გადასახლების 5000 კომლამდეა. ამიტომ საჭიროა გადაიდოს მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში ამ საქმის მოსაწესრიგებლათ 5 მილიონი მანეთი.

ლ. შენგელაია (ს. რ.) წინააღმდეგია დეკრეტისა, და ილაშქრებს მიწათმოქმედების სამინასტროს წინააღმდეგ.

თ. ლლონტი მოითხოვს მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის პერიფერიების ნაციონალიზაცია, გაქართულება და გადასახლების პრინციპი ამ მხრით იქნას მიმართული.

გ. გიორგაძე მე მგონია, რომ არავინ არ უნდა იყოს იმის წინააღმდეგი, რომ მოაწყოს შინა გადასახლება და მით ხელი შეუწყოს იმ მცხოვრებთა ეკონომიურათ მოწყობას და მოღონიერებას, რომელნიც მიწის სიიეწროვეს განიცდიან. შემდეგ ორატორი ამტკიცებს ლ. შენგელაიას მიერ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინააღმდეგ გალაშქრების სრულიად უსაფუძვლობას და აღნიშნავს, რომ თუ ვინმეს რამე აქვს ამ სამინისტროს წინააღმდეგი, შეუძლია გაეცნოს მის მოღვაწეობას ღა შემდეგ კონკრეტიულ ბრალდებებით და ფაქტებით გამოვიდენ ამ ტრიბუნაზე და მაშინ მათ ლაპარაკს ექნება ფასი და ანგარიშ გასაწევიც იქნება. ისეთი გამოსვლა კი, როგორც ინება შენგელიამ, დეპუტატის მდგომარეობას არ შეშვენის.

ს. ასათიანი მოითხოვს, რომ წესიერი საკოლონიზაციო პოლიტიკა აწარმოვოს მიწადმოქმედებას სამინისტრომ იმ წესით, რომლითაც მას აწარმოებენ დასავლეთ ევროპაში, ერ. დემ. სახელით მხარს უჭერ წარმოდგენილ დეკრეტს.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა. სოც. რევ. წინააღმდეგ მისცეს ხმა.

ივ. ჭავჭანიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოთ 1 კლასის ბილეთი დაბეგროს 1 მ. 50 კ., მეორე—1 მანეთით და 3-ე—25 კ.

ი. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სოხუმის ოლქში ეპიდემიასთან საბრძოლველად 100,000 მან. გადადების შესახებ.

შეკითხვა.

მდივანი კითხულობს სოც.-დემ. ფრაქციის შეკითხვას მთავრობისადმი, რომელიც შემდეგს შეიცავს:

„1917 წ. რევოლიუციის პირველ თვეებში ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დაუთხოვნია სამსახურიდან კოტე წერეთელი, რომელიც ამ საბჭოს დავალებით განაგებდა დაშავებულ მუშათა საქმეს. ამ დათხოვნას წინ უძღოდა ჭიათურის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება, რომლითაც მუშათა საბჭო მოითხოვდა მრეწველთა საბჭოსაგან წერეთლის გადაყენებას სამსახურიდან იმის გამო, რომ იგი მექრთამეობას და სხვა ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდა თავის სამსახურის ასრულების დროს და ეს დადგენილება, მუშათა საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტის დავალებით, აცნობა მრეწველთა საბჭოს მუშათა საბჭოს მდივანმა ისიდორე ხარატიშვილმა. უკანასკნელ ხანებში კოტე წერეთელს უჩივლია ჭიათურის მომრიგებელ მოსამართლესთან და უთხვნია ხარატაშვილის დასჯა ცილისწამებისათვის. მუშათა საბჭოს თავის მხრივ უცნობია მომრიგებელ მოსამართლასათვის, რომ ხარატიშვილი მოქმედებდა მუშათა საბჭოს დავალებით, როგორც იმისი წარმომადგენელი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მოსამართლეს ამა ივლისის 18 მაინც გადაუწყვეტია ხარატიშვილისათვის 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

ზემოაღნაშნულის გამო, სოციალდემოკრატიული ფრაქციამ მიიღო რა მხედველობაში, რომ რევოლიუციის ხანაში მუშ. დეპ. საბჭ. თამაშობდნენ უდიდეს საზოგადოებრივ როლს და წარმოადგენდენ ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობის ორგანოს, და რომ ამიტომ მუშათა დეპუტატების საბჭოების და მათი წარმომადგენლების მოქმედება წარსულში ვერ გახდება სასამართლოს პროცესიის საგნათ, ეკითხება მთავრობას: 1) იცის თუ არა მთავრობამ, რომ ჭიათურის მომრიგებელმა მოსამართლემ ამა ივლისის 18-ს გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ჭიაფურის დეპუტატების საბჭოს წევრს და წარმომადგენელს ისიდორე ხარატიშვილს გადაუწყვიტა, ამ საბჭოს დადგენილების ასრულებისათვის, კოტე წერეთლის საჩივრის გამო, ოთხი თვით საპყრობილეში დაპატიმრება, და 2) თუ იცის, რა ზომები აქვს მიღებული, როგორც ხსენებულ საქმის სასამართლოში მოსასპობათ, ისე იმის წინააღმდეგ, რომ ასეთი მოვლენა მომავალში არ განმეორდეს.

ევგენი გეგეჭკორი მოითხოვს, რომ შეკითხვა მოხსნილ იქნას დღიურ წესრიგიდან და გადადებულ იქნას შემდეგისათვის, რადგანაც მთავრობას ამ საკითხის შესახებ საკმაო ცნობები არა აქვს. შეკითხვა კი ფრიად სერიოზულ და დიდმნიშვნელოვან საკითხს ეხება.

გ. გვაზავა აღნიშნავს რა ასეთი შეკითხვის უსაფუძვლობას და იუსტიციის მინისტრის მიერ თავისუფლების არ დაცვას, პროტესტს აცხადებს ამის გამო.

ევ. გეგეჭკორი ამტკიცებს, რომ მთავრობას თავისი უფლებები არ გადაულახავს და მას შეუძლია, როგორც იუსტიციის სამინისტროს საერთო ხელმძღვანელს სააქმეები გამოითხოვს, საკითხი შეისწავლოს და შემდეგ გასცეს შეკითხვას პასუხი. ამიტომ ბ. გვაზავას უკანვე უბრუნებ თავის პროტესტს. (გვაზავა ადგილიდან: ჩემი პროტესტი თქვენს წინააღმდეგ არ იყო მიმართული) ხმა: გვაზავამ უკვე წაიღო უკან პროტესტი.

შეკითხვა მოიხსნა.

ორიოდე სიტყვა პარტიულ მუშაობაზე

ამ ბოლო დროს რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში ამ საგანზე ამ კითხვის შესახებ ცირკულიარი დაგზავნი ცენტრალურმა კომიტეტმა პროვინციებში.

როგორც გაზეთის წერილები, ისე ცირკულიარი ხაზ გასმით ურჩევს ორგანიზაციებს ნუ ჩაერევიან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებების საქმიანობაში, როგორიც არის მაგალითად კომისარიატი, ერობები, თვითმართველობები და სხვა. ეს კითხვა დიდ გაუგებრობას იწვევს ბევრ ამხანაგებში.

რას ნიშნავს, ნურავის საქმეში ნუ ერევა ორგანიზაციაო? რასაკვირველია, დიდი დანაშაულია თუ პირდაპირ ერევა ორგანიზაცია რომელიმე დაწესებულებაში.

მე არ ვიტყვი, რომ ყველგან ორგანიზაციები თავის სიმაღლეზე იდგნენ, მაგრამ იქ, სადაც ძველი პარტიული მომუშავენი დგანან სათავეში, სწორ პარტიულ ხაზს ატარებენ და ერევიან ამა თუ იმ საქმეში იმდენათ, რამდენათაც აუცილებლათ მოითხოვს საქმე, მაგრამ აქ ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული, რასაც ჩვენი ამხანაგები ვერ ამჩნევენ.

საქმე იმაშია, რომ ერთი მოვლენა იკიდებს ფეხს ამხანაგებში და სამწუხაროდ დღითიდღე ვითარდება. და ეს იწვევს ორგანიზაციის და პიროვნების შორის შეხლა-შემოხლას და არა ვინმეს ვისიმე საქმეში ჩარევა.

ეს მოვლენა ის გახლავთ, რომ ბევრი ჩვენი ამხანაგი, რომელსაც წააყენებ ამა თუ იმ საპატიო ადგილზე, მას ხმას ნუღარ გასცემ: ეჩვევა ლიბერალურ ცხოვრებას და ყოველგვარ კრიტიკას გაურბის. პარტიულ კრებებს სრულიად არ ესწრება და თუ სადმე შეხვდი და დაუწყე პარტიულ მუშაობაზე ლაპარაკი, აშკარა უკმაყოფილებას შეატყობ სახეზე; თითქო ყველაფერი გაკეთებულიყოს და პარტია ეხლა ზედ-მეტ ბარგათ გადაქცეულიყოს. ასეთ ვაჟბატონებს როცა მიუთითებს ორგანიზაცია შემცდარ ნაბიჯებზე, ის მორთავს ყვირილს,—ჩემს საქმეებში ერევითო. ასეთი სურათი გეშლება ბევრგან, სადაც კი ყოფილა უთანხმოება პარტიათა და სახელმწიფო დაწესებულებათა შორის.

ასეთი ჩარევა ორგანიზაციისა დაწესებულებაში ჩარევას კი არ ნიშნავს, არამედ—იმ გაუკუღმართებულ პიროვნებების გამოსწორებას, რომლებიც ატარებენ ჩვენს სახელს და მოქმედებით კი სხვას ვხედავთ.

ჩემის აზრით, ცენტრალური კომიტეტი უნდა აგზავნიდეს პროვინციაში მომზადებულ პირებს. აკეთებდეს მოხსენებებს ორგანიზაციებში, ეცნობოდეს მათ აზრს და ასე მიწოდებული მასალებით სარგებლობდეს და ამნაირად ამუშავებდეს სახელმძღვანელო ინსტრუქციას.

რაც შეიძლება მეტი დაახლოვება ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

სოსო მაჭავარიანი,

უცხოეთი

ოსმალეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზე.

ოსმალეთის დელეგაციამ დეკლარაცია წარუდგინა საზავო კონფერენციას. დელეგატები მოითხოვდენ 1914 წლის, ომამდე არსებულ საზღვრებს ოსმალეთისას. დეკლარაციაში ნათქვამი იყო რომ, მართალია, მთელი კულტურული კაცობრიობა ოსმალეთის ხალხს დიდ ბრალს სდებდა, მაგრამ ის რაც ხდებოდა ოსმალეთში ახალგაზრდა ოსმალთა პოლიტიკის ბრალი იყო და ხალხი არ უნდა იყოს ამაში პასუხის მგებელი. ეხლა ოსმალეთის ხალხი განთავისუფლდა ახალგაზრდა ოსმალთა ბატონობისაგან და სურვილიც აქვს კულტურულ მშვიდობიან მუშაობას მოჰკიდოს ხელი. დეკლარაციის დასასრულს მოხსენებულია, რომ ყურადღება უნდა მიექცეს მუსულმანთა რელიგიურ მოთხოვნილებას და იგი შელახულ—შეურაცყოფილ არ უნდა იქნასო. მოკავშირეებმა უპასუხეს დელეგატებს, რომ შეუძლებელია ოსმალეთის ხალხი განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. ვაფასებთ რა ოსმალთა ხალხის დადებით მხარეებს, განაცხადეს მოკავშირეებმა, ჩვენ მაინც ღარწმუნებული ვართ, რომ ოსმალთ არ შესწევთ უნარი სხვა ერების მართვა-გამგეობის. მოკავშირეები მხედველობაში იღებდენ და მიიღებენ კიდეც მუსულმანთა რელიგიას, მის შელახვას არ მოინდომებენ, მაგრამ ოსმალეთის საკითხს გადასწყვეტენ ოსმალეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერების ინტერესთ მიხედვით. 2 ივლისს, ოსმალეთის დელეგატებმა დასტოვეს პარიზი და უკან გაბრუნდენ.

ბესარაბიის საკითხი.

2 ივლისს, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ განიხილა ბესარაბიის საკითხი. მოისმინეს ბრიტანეთის მოხსენება, რომელიც მოითხოვდა ბესარაბია რუმინიისათვის შეერთებინათ. მაკლაკოვი მოითხოვდა ბესარაბია რუსეთის ფარგლებში მოქცეულიყო

ოსმალეთის მთავრობის კრიზისი

თფილისში მიღებულ სტამბოლის გაზეთებიდან ვტყობილობთ რომ ოსმალეთში მთავრობის კრიზისია. სამინისტროდან გავიდენ შინაგან საქმეთა მინისტრი ალი კემალ ბეი და სამხედრო მინისტრი შევკეთ თორგუთ-ფაშა. ამ მინისტრების გასვლის მიზეზი—პარლამენტის არჩევნებია. ალი კემალ-ბეი, ისევ როგორც ყველა იტილაფისტი (ფედერალისტი), წინააღმდეგია პარლამენტის არჩევნები მოხდეს ეხლა. დღეს, როცა ნახევარი ოსმალეთი მოკავშირეთა ჯარებს უკავიათ, როდესაც ქრისტიანები მტრულ განწყობილებაში არიან ოსმალთა მიმართ, ამ დროს არჩევნების დანიშვნა შეუძლებელია. აი ამ მოსაზრებით სარგებლობდა ალი-კემალ-ბეი, როდესაც მოინდომა არჩევნების გადადება. ალი კემალ ბეის წინ აღუდგა კაბინეთის 20 წევრი „იტირადის“ მომხრეები, რომელთაც სურთ დაუყონებლივ მოხდეს არჩევნები და ამით დაიბრუნონ ძველ დროის ძალა-უფლებები. მდგომარეობა გართულდა მით უფრო, რომ სამინისტროს თავმჯდომარე ფერიდ-ფაშა ევროპაში იმყოფება.

ბალშევიკების ჯარები ურალის ფრონტზე.

აღმოსავლეთის ფრონტზე ბალშევიკებთა ჯარების რაოდენობა შემდეგია: 1 არმია—25 ათასი, 2—30 ათასი, 3—40 ათასი, 4—12 ათასი, 5—45 ათასი, თურქესტანის—10 ათასი, სემირჩენის—12 ათასი. სულ 175 ათას ჯარისკაცამდეა 306 ზარბაზნით.

ს.-დ. პარტიაში

ს. აკეთი (გური). 8 ივნისს შესდგა აკეთის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ზაქ. წულაძე, მდივნათ ვლ. დ—შვილი. დღის წესრიგში იყო: მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ, ანგარიშების განხილვა, კოლექტივის და კომიტეტის წევრთა არჩევნები და მიმდინარე კითხვები.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს გრ. მახარაძე. მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რაში გამოიხატებოდა კოლექტივის მუშაობა მიმდინარე წლის 2 თებერვლის შემდეგ დღემდე. „უმთავრესი ხელის შემშლელი პირობები პარტიულ მუშაობის შენელების იყო ორი ამხანაგის ავადმყოფობა, მუშაობა უმთავრესად გამოიხატებოდა: დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანიის წარმოებაში, ანგარიშების განმარტივებაში, 1-ლი და 26 მაისის დღესასწაულების მოწყობაში, მეომართა ოჯახების დამხმარე კომისიის არჩევაში. ერთეულებში პარტიული მუშაობის გაჩაღებაში და სხვა. კოლექტივმა ყურადღება მიაქცია ზედა აკეთში მომხდარ უთანხმოებას ბიქტორ ხუხუნაიშვილის და ზოგიერთ ამხანაგებს შორის, გაეცნო ბრალდებებს და ვინაიდან არც ერთი ბრალდებათაგანი პოლიტიკური ხასიათის არ აღმოჩნდა და დამტკიცებული არ იქნა კომისიის მხრივ, კოლექტივმა 15 აპრილის სხდომაზე ერთხმად დაადგინა: ბიქტორ ხუხუნაიშვილის თხოვნა პარტიაში მიღების შესახებ, დაკმაყოფილებულ იქნა და ეცნობოს ზედა აკეთის ამხანაგებს ზ.-აკეთის „იაჩეიკამ“ კოლექტ. გადაწყვეტილება მიუღებლათ სცნო და მოითხოვა კოლექტივის პასუხისგებაში მიცემა. კოლექტივმა მოსთხოვა მათ რწმუნებულის გაგზავნა გურიის კომიტეტში და გასაჩივრება, მაგრამ დღემდე ესეც არ მომხდარა. ეხლა ჩვენ მოვითხოვთ ყრილობამ თვით დასდოს მსჯავრი ჩვენს მოქმედებას და ან დაადასტუროს კოლექტივის დადგენილება ბიკტ. ხუხუნაიშვილის პარტიის წევრათ მიღების შესახებ და ან პასუხი აგებინოს კოლექტივს პარტიულ სასამართლოს საშუალებით“. ყრილობა ორი ხმის წინააღმდეგ ადასტურებს კოლექტივის გადაწყვეტილებას, მოხსენებით კმაყოფილდება და გადადის მეორე საკითხზე.

ანგარიშების შესახებ მომხსენებელი ამბობს: ვინაიდან ოთხი სასოფლო ერთეულიდან ანგარიშები ჯერაც არ წარმოუდგენიათ, ამიტომ კოლექტივს არ ჰქონდა საშუალება სწორი ანგარიშები მიეცა ყრილობისათვის. ივნისის დამლევამდე მოვითხოვთ ყველას ანგარიშების გადმოცემას და შემდეგ თვითეულ სო-

ფლის „იაჩეიკას“ დავუგზავნით ანგარიშების ასლსო. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მიხ. ბაქუნაიშვილი. შემდეგ ხდება არჩევნები კოლექტივში არჩეულ იქნენ: გრიშა მახარაძე, სარდ. მახარაძე, ვლასა ქურიძე, ზაქ. წულაძე, რაფიელ გოგუაძე, ვლ. დათუნაიშვილი, სამსონ ხუხუნაიშვილი, ივლ. გოგუაძე და ევგენი მორჩილაძე. გურიის კომიტეტის წევრებათ მიხ. ბაქუნაიშვილი და გრ. მახარაძე.

დასასრულ რაიონული ყრილობა პროტესტს აცხადებს იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებულია სახ. საქ. 541 №-ში და რომელიც სრულ სიყალბეზეა აგებული.

გოლა.

———

თფილისი. მეშვიდე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება შესცვა 17 ივლისს. თავმჯდომარეობდა ს. ყლენტი, მდივანი ელ. შარაშენიძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) თფილისის კომიტეტის და თფილისში არსებულ ს.-დ. კოლექტივების შეერთებული სხდომის მოხსენება, 2) პარტიული მუშაობა, 3) ფრონტის დღე, და მიმდინარე კითხვები.

თფილისში არსებულ ს. დ. კოლექტივების შეერთებულ სხდომის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის წევრი ამხ. ევტ. ლორია.

კრებამ მოხსენება ერთხმა მიიღო.

პარტიული მუშაობის შესახებ, კრებამ დაავალა კომისიებს, მცირე კოლექტივების დაარსება თავიანთ უბნებში პრეზიდიუმის დახმარებით.

ფრონტის დღის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. მესხიშვილი, და მოუწოდებს კრებას, რომ გაუწიონ დახმარება ამ დღის მოწყობაში. კრებამ აღუთქვა, რომ მეშვიდე რაიონში მოთავსებულ ყველა დარგებიდან გაანთავისუფლებს რამოდენიმე კაცს, ამ დღის მოსაწყობათ.

ელ. შარაშენიძე.

მუშათა შორის

ფოთი. არც ერთი დარგის მუშები არ იმყოფებიან ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში, როგორც ფოთის ნოქრები. აქ თუმცა არსებობს ნოქართა პროფესიონალური კავშირი, მაგრამ ისე სუსტია მისი ორგანიზაციული მხარე, რომ მას არ ძალუძს ნოქრები იხსნას ხაზეინთა ექსპლოტაციისაგან. ძველი გამგეობის წევრნი სადღაც გაიფანტნენ და ზოგიც, კერძო საქმით გატაცებული თავს არ იწუხებს საამისოთ. კრებას არავინ იწვევს ახალი გამგეობის ასარჩევად. ამით სარგებლობენ ხაზეინები და მიუხედავათ მთავრობის მიერ გამოცემული 8 საათის სამუშაო დღის კანონისა, მცირე წლოვანი ნოქრებს 15—16 საათს ამუშავებენ.

5 ივნისს, პარიკმახერ ხაზეინების პროფესიონალურ კავშირის კრება იყო. დაადგინეს, რომ კვირა-უქმეებში სახელოსნოები არ დაკეტონ.—არც სხვა მხრივ არის საიმედო აქაურ ნოქართა ბედი. მათ უბინობის გამო ნესტიან დუქნებში სძინავთ.

ზაფხულის საშინელ სიცხეში როცა 8 საათის მუშაობაც კი ძნელი ასატანია, ამდროს ფოთის პარიკმახერ-ხაზეინებმა 15 საათიანი სამუშაო დღე არ იკმარეს და კვირა-უქმეებში ამუშავებენ ნოქრებს.

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. ჰ. კოკიაბო.

———

ტყიბულის მიდამოები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკისათვის ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროები.

მე მინდა მხოლოდ, მკითხველს გავაცნო შეძლების დაგვარად, როგორ პირობებში იმყოფება მაღაროების წარმოება და როგორია მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა. მუშაობის განახლებიდან, ე. ი. ამა წლის 19 იანვრიდან, დამოკიდებულება მაღაროების ადმინისტრაციას და მუშათა ორგანიზაციას შორის პირველ ხანებში კარგი იყო, რაც ძლიერ ხელს უწყობდა მუშაობას ნორმალურ პირობებში ჩაყენებას. ყველანი, რაღაც ისე ხალისით მიდიოდენ თავთავიანთ სამუშაოზე, რომ ასე გეგონებოდა, საკუთარ ოჯახში მიეშურებიან სამუშაოთო. მასთან უნდა აღვნიშნო, რომ აქ სოლიდარულ მუშაობას ხელს უწყობდა ბ. ინჟ. წულუკიძეც.

რამდენიმე ხნის შემდეგ დანიშნეს მთავარ გამგეთ ბ. ინჟ. ციციანოვი, რომლის დანიშვნასაც თითქმის ყველანი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. ისიც ბევრ რამეს დაგვპირდა, მაგრამ განვლო დრომ და დაპირება დაგვრჩა მხოლოდ დაპირებათ. საქმით კი სულ სხვა მივიღეთ: მუშების ნაწილს მეოთხე თვეა არ მიუღიათ ხვედრი ჯამაგირი. საერთოდ კი, ორი თვე და ჩვიდმეტი დღე არის. მასთან უსურსათობა და უბინაობა და სხვა. როცა შევეკითხეთ ფულის და სურსათის შესახებ, მთავრობაზე მიგვითითეს, ის არ გვაძლევსო, მაგალითად, რკინის გზა და ფოთის პორტი არ იძლევიან ფულსო და სხვა. მასთან კიდევ ამბობდენ რომ ნახშირს ბაზარი არ აქვსო.

არ ვიცით, რამდენათ მართალი არიან ზემოაღნიშნულ მიზეზებში. როგორც სჩანს, გზათა სამინისტრომ დღემდე არაფერი არ იცოდა მაღაროების შესახებ.

ბაზრის უქონლობა არ ვიცი რას მივაწეროთ, მხოლოდ ერთი მინდა ვთქვა: ჩვენ ნახშირს ბაზარი საიდან უნდა ჰქონდეს, როცა წვრილ-ფეხა სპეკულიანტების საშუალებით ორ-სამჯერ მეტ ფასებში იძენენ მომხმარებლები, ვიდრე ზემო აღნიშნული აგენტები იძენენ მაღაროების მმართველობიდან. განა არ შეიძლება საქმის ისე დაყენება, რომ ჩვენი ქვა-ნახშირი მომხმარებლებს შეეძინათ პირდაპირ მაღაროების მმართველობისაგან და ან საკუთარ აგენტების საშუალებით? დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება. ეხლა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, მთავრობას დაუნიშნავს კომისია, რომელმაც უნდა გამოირკვიოს მაღაროების მდგომარეობა. იმედია აღნიშნული კომისია გამოარკვევს, როგორც მაღაროების წარმოების პირობებს, ისე მუშებისას და ერთხელ და სამუდამოდ დააყენებენ წარმოებას თავის დონეზე და სიმაღლეზე.

მასთან უნდა აღვნიშნო გზათა მინისტრის საყურადღებოთ, რომ მუშებს ხვედრი ფული დაჩქარებით უნდა მიეცეს და მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული ტყიბულის მაღაროებზე.

მეხი.

———

პეტო ალხანაშვილი

კიდევ ერთი საუკეთესო და ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მუშაკი იმსხვერპლა ულმობელმა სიკვდილმა: 19 ივნისს, შავ სამარეს მიაბარეს ერთი თავდადებული, თავისუფლებისათვის მებრძოლი პეტო ალხანიშვილი.

პეტომ პატარაობიდანვე მიზნად დაისახა ხალხის სამსახური და თავის ნაცად რევოლიუციონურ გზისათვის ერთხელაც არ გადუხვევია. პეტო ალხანაშვილი მთავარი სახელოსნოს მუშა იყო, ამხანაგებში დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული და აკი მისმა სიკვდილმა დიდი მწუხრებაც გამოიწვია მის მეგობრებ შორის. პეტოს ბავშობიდანვე შეუყვარდა სცენა, იგი მთელ თავისუფალ დროს სცენას სწირავდა და ერთ მუყაით, მშრომელ სცენის მოყვარეთ ითვლებოდა. შავმა სახადმა უდროოთ მოუღო ბოლო პეტოს და დაალონა მოხუცი დედ მამა და ცოლშვილი. X.

პროვინცია

ს. კავთისხევი (გორის მაზრა). ეს სოფელი სამი თვე იქნება, რაც ახალი უფლებით სარგებლობს; ეს უფლება არის მისი სათემო ცენტრათ გამოყოფა და შექმნა ერობის წვრილი ერთეულისა: ორი რამ: ერობა, უაღრესად დემოკრატიული ორგანო და სიახლოვე, ხალხის დიდი ხნის სურვილი ფაქტათ იქცა. თუმცა ჯერ ეს ჩონჩხია, მაგრამ ვიცით, რომ ხორცს შეისხამს

კავთისხევის სათემო ერობას, უნდა ვსთქვათ, რომ სხვა მეზობელ ერობებთან შედარებით უფრო ცუდს პირობებში უხდება მუშაობა იმით, რომ ამ სათემოში არ არსებობს მომრიგებელი მოსამართლის კამერა. მცხოვრებლებმა კი ეხლა იგრძნეს იმედი სამართლიანობისა და გულში დაგროვილ უკმაყოფილებას, რომელზედაც ჯეროვანი პასუხი არ მიუღიათ, ასაჩივრებენ ერობის წინაშე. გამგეობა იძულებულია უპასუხოს, მათი სიმპატია ერობისადმი არ გააცრუოს. მაშასადამე, პასუხი უნდა იყოს სამართლიანი, მოფიქრებული. ამიტომ ერობის გამგეობას უხდება სამართლის წარმოებაც. ეს კი მას ბევრ დროს ართმევს, და ერობის მხრივ ნამდვილ დანიშნულებისათვის მუშაობას აფერხებს.

მეორე დაბრკოლება ის არის, რომ ერობის შემოღებამდე სხვა რაიონებში ჩვენმა მთავრობამ თავისი ხარჯით და ინიციატივით ტელეფონით გადააბა რაიონში არსებული სოფლები ერთმანეთთან და სამაზრო ცენტრთან. ჩვენი მხარე კი მთავრობის ამ ყურადღებას დასცდა და ამ საერთო ხელისშემწყობ პირობებს მოკლებულია კავთისხევის ერობა. და ეს განსაკუთრებული ნაკლიც ჩვენი ერობიდან გარკვეცებულ შრომასა და მეცადინეობას თხოულობს.

მესამე დაბრკოლება ის არის, რომ საერთოდ სოფლად და მით უმეტეს ჩვენს სოფელში შესაფერი შენობები საზოგადო დაწესებულებებს არ ჰქონდათ. ერობის გამგეობის ბინა ამ მიზეზით მეტად დაშორებულია საკომისარიატოსაგან, რაც აგრეთვე ხელს უშლის ნაყოფიერ მუშაობას. საფოსტო პუნქტი, რომელიც ერობამ გახსნა, უბინაობის გამო მოუწყობელია. სამკითხველო ამავე მიზეზით ისევ დაკეტილია. ყველა ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გაგვახარებდა დამფუძნებელ კრების მიერ მიღებული კანონი უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ. საზოგადოდ ჩვენი სოფლის და რაიონის კომისრებმა ერობის წარმოშობაში თავიანთ უფლების განახევრება დაინახეს და მას დაუწყეს ცქერა, როგორც მათი ავტორიტეტის მეტოქეს. აქედან თავისთავად ცხადია, რომ ერობას ჩვენი ადმინისტრაცია სისტემატიურ წინააღმდეგობას გაუწევდა. და იმ დროს, როცა ერობის გამგეობის წევრებს მილიციონერის მოვალეობის ასრულებაც თითონ უხდებოდათ, ამ დროს სოფლად მოსეირნე კომისარი შეიარაღებულ მილიციონერს, ასეთ ვსთქვათ, დასამშვენებლათ უფრო მეტის სიდიდისათვის უკან მიიყოლიებდა.

მიწის გამანაწილებელი კომისიის მუშაობა მძიმეთ მიმდინარეობს და ფონდის ადგილების ჯერ კიდევ საერთო მფლობელობის შესაძლებლობის არსებობა ჰბადებს მიზეზს ძალმომრეობისას, თუმცა ერობის გამგეობამ მიიღო ერთგვარი ზომები: მაგალითად, ფონდის მიწების საანეულოთ მოხვნა ბარათებით აწარმოვა. ბარათები მცხოვრებლების მხოლოდ უღარიბეს ნაწილს ეძლეოდა, მაგრამ საქონლის მყოლე გლეხებმა ალოს ფასი ასწიეს, მოხვნა გაუძნელეს და მდგომარეობით სარგებლობდნენ, ასეთივე ცდილობა ხდება ნაწვერალების დახვნაში, თუმცა მდიდარმა გლეხებმა იციან, რომ მათ ფონდის მიწები არ შეხვდებათ, მაგრამ ეს გარემოება მათ უფრო ახელებს და ცდილობენ კანონის გარეშე ერთხელ სარგებლობა კიდევ მაინც მოასწრონ.

წრეულს მოსავალი ხორბლეულობისა საშუალოზე მეტია, ხოლო ბაღები სრულიათ გაფუჭებულია სეტყვისაგან და გამუდმებულ წვიმებისაგან. ქ. ცეველი.

———

ს. დილიკაური საზოგადოება (შორაპნის მაზრა). სხვა საზოგადოებებთან შედარებით, დილიკაურის საზოგადოება ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულათ. სწავლა-განათლებას და სხვა კულტურულ დაწესებულებებს ძაან გულგრილათ ეკიდებიან. ათი წელიწადია რაც აქ სკოლა დაარსდა და დღევანდლამდე სკოლას საკუთარი შენობა არ აქვს. ახლოვდება სასწავლო წელიწადის დაწყების დრო და სკოლების შესახებ არაფერი ისმის. მოვა პირეელი ენკენისთვე და შეიქმება სახლების თაობაზე ერთი განგაში. ბავშვებმა არ იციან, რომელ ბინაზე მივიდნენ. თავი და თავი მიზეზი ამ მოუწყობლობისა ის არის, რომ ეს საზოგადოება შესდგება ორი მრევლისიგან, რომლებიც ერთმანეთთან მტრულ განწყობილებაში არიან ზოგიერთ ვაჟბატონების მეოხებით. ბოროტი პირები ხალხს ერთმანეთს აჭულებენ და ამით თავიანთ ბნელ საქმეებს იკეთებენ. რამოდენიმე წლის წინათ ხალხმა აქ გააკეთა ორ კლასიან სასწავლებლის შენობა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ დასწვეს. მეორე მაგალითი ამ საზოგადოების მცხოვრებთა მტრულ განწყობილებისა: აქ დაარსეს ორი კოოპერატივი, თუმცა ამ ხუთას კომლს ერთიც კი ეყოფოდა, თუ კი კარგათ მოწყობილი იქნებოდა ის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოოპერატივის გამგეობა საქონელს იძენს მახლობელ ბაზრებიდან და არა კავშირიდან, რომლის შედეგიც ის არის, რომ საქონელი ამ კოოპერატივში ძვირათ იყიდება.

5 ივნისს აქ მოვიდა მიწის ჩამომრთმევი კომისია და შეუდგა მუშაობას, რომელსაც გლეხები აღტაცებით შეხვდნენ, მხოლოდ მემამულეთ კი არ იამათ და ბევრს ჭორებს ავრცელებენ. დღეში დენიკინი ორჯელ მოდის, იმათი სიტყვით, საქართველოში, მაგრამ შესმენილ გლეხკაცობას ამითი ვერ აშინებენ, ამ ბოლო დროს ძლიერ გავრცელდა ქურდობა. აქაური ადმინისტრაცია მეტად სუსტი გამოდგა ამათ ასალაგმავად. დილიკაურის საზოგადოების კომისარი მეტად ხათრიანი ადამიანი გამოდგა და როგორც ადმინისტრატორი ძლიერ სუსტია. 1 იანვრიდან აქ დაარსდა სოც.-დემ. კოლექტივი. მოსავალს არ უჩანს კარგი პირი. ბევრი წვიმების გამო, ვენახები სულ გაფუჭდა. 8 ივლისს ღამე მოვიდა ძლიერი წვიმა, რომელმაც სოფლის წისქვილები წალეკა და სულ ერთიანად დაანგრია. ახლომახლო რაც ყანები იყო, სულ ერთიანად წაახდინა ადიდებულმა ნიაღვარმა და ძლიერ დააზარალა ხალხი. ნარუმლის პირელი.

განცხადებანი

დაიკარგა
გზაში ლანჩხუთიდან ასკანამდე ასკანა-ეწერის კოოპერატივ „შუამავალის“ ბეჭედი. მნახველს ვსთხოვთ გადმოგვცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი ყალბათ ჩაითვლება. ს. ასკანა, (ოზურ. მაზრა) რუბენ მელუა. (1—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა 75
სახალხო სიმღერების ლექსები
მოიკითხეთ კავსაძის გუნდში. (1—1)

ნაძალადევის თეატრი
კვირას, 27 ივლისს 1919 წ. მიხეილ კავსაძის მომღერალ-მგალობელთა გუნდის მიერ გაიმართება
ლექცია-კონცერტი
(2—1)

22 ივლის **დავკარგე**: უვადო პასპორტი, რევოლვერის ტარების ნებართვა ჩემი სურათით, ს.-დ. პარტიული წიგნაკი მე-6 რაიონის კოლექტივის მიერ მოცემული და სხვა. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სომხის ბაზარი, № 43, შაქრო გ. ანდრიაშვილს. (2—2)

24 ივლისს 1919 წელს ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 157 იხსნება
დიდუბის კერძო სამკურნალო
გარედან მოსიარულე ყოველნაირ ავადმყოფთათვის. ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღ. 8 საათამდე. (2—2)

სამხედრო ხე-ტყის ქარხანა.
ამით აცხადებს, რომ იგი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს აძლევს ყოველგვარ დახერხილ ხის მასალას დაკლებულ, ხელმისაწვდომ ფასებში. (5—4)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ფლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ ქ. თ. ტუღუშელაშვილის
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესო ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნაშ. საათ.

ექიმი ქალი რ. ბ. შიუკო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი მ. ა. ზაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნაშ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ჯილდო 1000 მ. კახეთის ამხანაგობა „საერო“-ს გამგეობამ დაადგინა 1000 მანეთი მისცეს ჯილდოდ იმას, ვინც ქართული ასოებიდან კლიშესათვის სურათს დახატავს „საეროს“ ფირმის სახელწოდებით; სურათი შეძლების და გვარად არ უნდა განსხვავდებოდეს რუსული ასოებიდან შედგენილი სურათისაგან. წერილობითი წინადადებანი დახურულ კონვერტებში უნდა წარუდგინონ იქმნას ამხანაგობის კანტორაში პუშკინის ქუჩა, № 2, თამამშევის ქარვასლა. წარდგენის ვადა ამ წლის აგვისტოს პირველ დღის 12 საათამდის. (2—1)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზაევის შესახვევი № 1.